სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

38923252383519

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190358828

რეგისტრაციის თარიღი

02.04.2019 წ

ნოტარიუსი: ნინო სალაძე

მისამართი: თბილისი, ც. დადიანის #105

ტელეფონი: 2 660 383

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადაბეჭდვა შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქალაქი თბილისი, ორი ათას ცხრამეტი წლის **ორი აპრილი**
ჩემთან, ნოტარიუს ნინო სალაძესთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა №105, გამოცხადდა: **გიორგი კორძაძე** (დაბადებული 04.11.1982 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. **N 2/8 ბ. 21,** პირადი ნომერი 01030021463) როგორც **შ.პ.ს. "კომფორტ პლიუსი"**-ის (საიდენტიფიკაციო №404510579) დირექტორი და განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **გიორგი ჭუმბურიძეს** (დაბადებული 05.02.1980 წელს, პირადი ნომერი 01030013137). მან განაცხადა რომ სურს შეადგინოს მინდობილობა და მოითხოვა ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე, უფლებამოსილება შევამოწმე ამონაწერით **სამეწარმეო რეესტრიდან და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონია.** შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, წავუკითხე განვუმარტე სამართლებრივი შედეგები, მან თავადაც წაიკითხა და განაცხადა რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, **გიორგი კორძაძე** (მონაცემები მოცემულია ზემოთ), როგორც **შ.პ.ს. "კომფორტ პლიუსი"**-ის (საიდენტიფიკაციო №404510579) **დირექტორი** უფლებამოსილებას ვანიჭებ **გიორგი ჭუმბურიძეს** (მონაცემები მოცემულია ზემოთ) მასზედ რომ ანარმოოს საზოგადოების კუთვნილ უძრავ ქონებებზე მშენებლობის ნებართვის აღებასთან (რეკონსტრუქციასთან/მიშენება/დაშენება/გადახურვა და სხვა...) დაკავშირებული საქმეები. აღნიშნულთან დაკავშირებით იყოს საზოგადოების წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, მერიაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მუნიციპალურ სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში და სხვა... გააკეთოს აზომვითი ნახაზები, წარადგინოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, მათ შორის, ელექტრონულად, დააზუსტოს და ნებისმიერი ცვლილებები შეიტანოს სარეგისტრაციო მონაცემებში, გაასწოროს ხარვეზები, მოითხოვოს მიიღოს ნებართვები, შეათანხმოს პროექტი, მონაწილეობა მიიღოს პროექტის შედგენაში, ცვლილებაში, კორექტირებაში, აწარმოოს მოლაპარაკებები, გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები/დადგენილებები, გასცეს/მიიღოს ნებისმიერი თანხმობები, წარადგინოს ნებისმიერი სახის განცხადება, გადაიხადოს კანონით დადგენილი ბაჟები, მოაწეროს ხელი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მარწმუნებლის მიერ მის გაუქმებამდე. მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა მიმნდობს, ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელსაც ერთვის **ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.** გადახდილია სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება №507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი + დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) + ასევე 2 (ორი) ლარი, იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

მიმნდობი: .....

ნინო სალაძე

